“აი, ფაქტი” გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება

წლიური ანგარიში 2023

“აი, ფაქტი” გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება

WWW.IFACT.GE

სარჩევი

დამფუძნებლისა და დირექტორის მისალმება 02

2023 წლის ძირითადი მილწევები
შეჯამება 04

1. მილწევების მიმოხილვა 05

1.1. კარგი მმართველობა: მართვისას
გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება 06

2. 2023 წლის მთავარი პრიორიტეტები 09

2.1. ეროვნული და საერთაშორისო
უსაფრთხოება, საზღვრისპირა თანამშრომლობა 09

2.2. ადგილობრივი საკითხები: გადაადგილება,
უსაფრთხოება და ადგილობრივი
თვითმმართველობა 11

2.3. გარემო და კულტურული მემკვიდრეობა 13

3. ფინანსური ანგარიში 16

3.1. ეთიკური შემოსავლის და ხარჯვის პოლიტიკა 16

3.2. შეჯამება 17

3.3. შემოსავალი 18

3.4. დანახარჯები 19

დამფუძნებლისა და დირექტორის მიმართვა

„აი, ფაქტის“ ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო, პარტნიორებო და მკითხველებო,

2023 წელი ისტორიული მნიშვნელობით გამორჩეული წელი იყო: არაერთი გამოწვევის, საქართველოს მოქალაქეების, ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების უზარმაზარი ძალისხმევის შემდეგ, საქართველომ საბოლოოდ მოიპოვა დიდი ხნის ნანატრი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რომელმაც ახალი სიცოცხლე შესძინა ჩვენს ერთობლივ ძალისხმევას ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. „აი, ფაქტს“ მტკიცედ სწამს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და საქართველოს უსაფრთხოების დასაცავად არსებითია. სწორედ ამიტომ, 2024 წელს „აი, ფაქტი“ გეგმავს, ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებულ 9 პრიორიტეტზე, რომელიც საქართველოს შემდგომ ინტეგრაციას უწყობს ხელს, მეტი ყურადღება გაამახვილოს.

თუმცა, საქართველოს ხალხის ისტორიულ მიღწევებთან ერთად, გასული წელი მწვავე გამოწვევებითაც გამოირჩეოდა: რეგიონში მიღებული შემზღუდველი კანონების ტალღის შემდეგ, მმართველმა პარტიამ ასევე დააპირა ეგრეთ წოდებული „რუსული კანონის“ მიღება (პუტინის 2012 წლის კანონის ანალოგი, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არადემოკრატიულად ცნო). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეების პროტესტისა და მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად კანონპროექტი უკან იქნა გაწვეული, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის პრინციპების წინააღმდეგ პროპაგანდა მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

თანასწორობის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ დეზინფორმაცია და პროპაგანდა აქტიურად გამოიყენება 2024-2025 წლების წინასაარჩევნო პერიოდში. უფრო მეტიც, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი რისკები არსებობს წინასაარჩევნო პერიდოში ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებისა და ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების ინსტრუმენტალიზაციის კუთხით.

თუმცა, გაზრდილი პოლარიზაციის ფონზე, საქართველოს მოქალაქეების ხმა მეტწილად შეუსმენელი რჩება – ჯანდაცვა, განათლება, უსაფრთხოება,

ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა, გარემოს დაცვა, მართლმსაჯულებაზე წვდომა და კულტურული მემკვიდრეობა – ეს რამდენიმე მათგანია იმ თემათაგან, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია.

2023 წელს „აი, ფაქტმა“ 130 საგამოძიებო მასალა მოამზადა, რომელიც 7 მილიონზე მეტმა მომხმარებელმა ონლაინ იხილა. მასალები გავრცელდა ტელევიზიით, რადიოთი და სხვა ციფრული პლატფორმებითაც, რამაც ადვოკატირების სხვადასხვა კამპანის დაუდო სათავე და შედეგად შეცვალა სახელმწიფო შესყიდვები, კანონმდებლობა, მთავრობის გადაწყვეტილებები და, მთლიანობაში, დადებითი გავლენა იქონია საქართველოს დემოკრატიულ გარემოზე.

აღნიშნული მიღწევები შეუძლებელი იქნებოდა „აი, ფაქტის“ მკითხველების, დონორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მუდმივი მხარდაჭერის გარეშე – გვსურს, გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი უწყვეტი მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.

2024 წელს „აი, ფაქტი“ გეგმავს, განაგრძოს რეაგირება მაღალგავლენიან საკითხებზე და ყურადღება გაამახვილოს იმ თემებზე, რომლებიც მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია – რათა უზრუნველყოს მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში და შეამციროს პოლარიზაცია. ასევე, ფოკუსირდეს იმ სფეროებზე, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით გარემოს განვითარებაზე.

თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, „აი, ფაქტი“ მუდმივად იღწვის ხარისხის განვითარებისთვის: 2023 წელს „აი, ფაქტმა“ დანერგა ზეგავლენის შეფასების ახალი მექანიზმი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის მაქსიმალურად დადებითი გავლენის მისაღწევად მისი კონტენტის დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

ვიმედოვნებთ, რომ 2024 წელს ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება და საქართველო წარმატებით განაგრძობს დემოკრატიზაციისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას, მიუხედავად არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევებისა.

ნინო ბაქრაძე

„აი, ფაქტის“ დამფუძნებელი და დირექტორი

აი ფაქტი
გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება

1. 2023 წლის ძირითადი მიღწევები

შეჯამება

2023 წელს „აი, ფაქტმა“ 130 საგამოძიებო მასალა მოამზადა; „აი, ფაქტის“ ვებსაიტს, დაახლოებით, მილიონჯერ (724 ათასი ვიზიტი) ესტუმრნენ, მასალებმა „ფეისბუკზე“, ჯამურად, 7 მილიონზე მეტ მომხმარებელთან მიაღწია და 1.3 მილიონი მომხმარებლის ჩართულობა მოაგროვა (მოწონებები, გაზიარებები ან კომენტარები). 2023 წელს „აი, ფაქტმა“ ასევე დაიწყო „ინსტაგრამისა“ და „ტიკ-ტოკის“ პლატფორმებზე აქტიურობა, სადაც, შესაბამისად, მიაღწია 54,400 და 20,700 მომხმარებელთან.
„აი, ფაქტის“ მასალები, ძირითადად, იმ მაღალგავლენიან თემებზეა ფოკუსირებული, რომლებიც მოქალაქეების ინტერესებს ასახავს და საქართველოს საერთო უსაფრთხოებას, დემოკრატიულ განვითარებასა და ადამიანის უფლებების დაცვას ეხება. კონკრეტულად:

- **კარგი მმართველობა: მართვისას გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება** – მოიცავს სავარაუდო კორუფციის, ნეპოტიზმის, სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის ნაკლებობის, წინასაარჩევნო პერიოდში ინფრასტრუქტურული და სოციალური ხარჯების ზრდისა და სამართლიანი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებს.
- **ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება, საზღვრისპირა თანამშრომლობა:** - მოიცავს თემებს, რომლებიც საქართველოს ეროვნულ და რეგიონულ უსაფრთხოებას ეხება. მაგალითად, რუსეთის მხრიდან მომარაგებაზე დამოკიდებულების ზრდა, რაც საფრთხეს უქმნის სურსათის უსაფრთხოებას; არაგამჭვირვალე საერთაშორისო ბიზნესები და პრორუსული ჯგუფების დაფინანსება საქართველოში.რისკები, გაუმჭვირვალობა და საჯარო მართვაში ცუდი პრაქტიკა;
- **ადგილობრივი საკითხები: გადაადგილება, უსაფრთხოება და ადგილობრივი თვითმმართველობა** – მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა გადაადგილება ადგილობრივი თემებისათვის (გზები და ტრანსპორტი), ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და მოქალაქეების ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში.

- **გარემო და კულტურული მემკვიდრეობა** – პროექტები და განვითარებები, რომლებიც არსებითად აზიანებს გარემოს და კულტურულ მემკვიდრეობას, რის გამოც ირღვევა ორჰუსის კონვენციისა და საქართველოს მიერ აღებული სხვა საერთაშორისო ვალდებულებები.

„აი, ფაქტი“ საქართველოში მედიისა და ჟურნალისტური სტანდარტების განვითარების მიმართულებითაც მუშაობს და განაგრძობს ახალგაზრდებისთვის სწავლისა და სტაჟირების შეთავაზებას. მეტიც, 2023 წელს „აი, ფაქტმა“ გამოაქვეყნა სხვადასხვა ინსტრუქცია და სახელმძღვანელო კონკრეტული თემების გამოსაძიებლად:

- **სახელმძღვანელო** საჯარო მოხელეების დეკლარაციების გამოკვლევის შესახებ;
- **რჩევები,** როგორ მოიქცეს ადამიანი უკანონო თვალთვალის პირობებში;
- **სახელმძღვანელო** უკანონო იარაღის ვაჭრობის გამოსაძიებლად;
- **სახელმძღვანელო** კლეპტოკრაციის გამოსაძიებლად;
- **სახელმძღვანელო** კიბერდანაშაულის გამოსაძიებლად.

„აი, ფაქტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკუთარი ხარისხის უწყვეტ განვითარებას: 2023 წელს „აი, ფაქტმა“ დანერგა ზეგავლენის შეფასების მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა, სისტემურად გაკონტროლდეს ზეგავლენა და მასალები იმგვარად დაიგეგმოს, რომ საქართველოს დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მაქსიმალურად პოზიტიური შედეგი ჰქონდეს.

1. მილწევების მიმოხილვა

შემდგომ თავებში მოკლედ იქნება აღწერილი „აი, ფაქტის“ მიერ 2023 წელს მომზადებული 130 საგამოძიებო მასალიდან რამდენიმე. „აი, ფაქტის“ მასალების არქივი ხელმისაწვდომია ვებსაიტზე: www.ifact.ge.

1.1. კარგი მმართველობა: მართვისას გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

საჯარო სამართლის იურიდიული პირები გამჭვირვალობისა და ხელშესახები შედეგების გარეშე: PPP-ის თავმჯდომარე მმართველი პარტიის თავმჯდომარის მეუღლეა.

სტატიის დეტალები

PPP სააგენტოს ხელმძღვანელობს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მეუღლე, რომელიც თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრმა დანიშნა. PPP სააგენტო 2019 წელს შეიქმნა, რის შემდეგაც 900 ათასი ლარი დაიხარჯა, თუმცა საქმიანობა თითქმის გამჭვირვალობის გარეშე მიმდინარეობდა და არც ერთი პროექტი არ განხორციელებულა. 2018 წელს მთავრობის დადგენილებამ #515 საშუალება მისცა ენერგეტიკულ პროექტებს, არ დაექვემდებარონ დეტალურ შემოწმებას, რაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ჰიდროელექტროსადგურების პროექტებს გულისხმობს.

პოლიტიკოსების დეკლარაციებში დამალული: სახელმწიფო გრანტები მმართველი პარტიის წევრის ოჯახის წევრისთვის მათი პოლიტიკური კარიერის პერიოდში

სტატიის დეტალები

პარლამენტის ყოფილი წევრისა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის, გუგული მალრაძის სიძემ 348,000-ლარიანი გრანტი და 436,000 ლარის დაბალპროცენტიანი აგროკრედიტი, რომლის ნაწილიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა, იმ პერიოდში მიიღო, როდესაც გუგული მალრაძე აქტიურ პოლიტიკაში იყო ჩართული. თუმცა, ყოფილმა დეპუტატმა ქონებრივი დეკლარაციების შევსებისას თავისი სიძის

შესახებ ინფორმაცია დამალა. აღნიშნული თანხებით, მან დღეს უკვე წარმატებული ჩაის კომპანია „მანა“ დააფუძნა.

ორმაგი ნეპოტიზმი გორში: ოჯახის წევრების დანიშვნები და ცარიელი საბავშვო ბაღები

სტატიის დეტალები

2021 წლის მონაცემებით, საბავშვო ბაღის თანამშრომლების ხელფასი თვეში 220-დან 400 ლარამდე მერყეობდა. იმავე წელს, მინიმალური საარსებო შემწეობა „საქსტატის“ მიერ 198 ლარად იყო განსაზღვრული (227 ლარი - 2023 წელს). საბავშვო ბაღები აშენდა, მაგრამ დღემდე ცარიელია. ბევრ მათგანს არ გააჩნია გათბობა, ხოლო სივრცეები გადატვირთულია, მაგალითად, 15 კვადრატულ მეტრზე 40 ბავშვი - სათანადო პირობებისა და განვითარების ხელსაწყოების გარეშე. ადგილობრივი მშობლები, თანამშრომლები და ოპოზიციონერი პოლიტიკოსები პრობლემებს „ორმაგ“ ნეპოტიზმს

უკავშირებენ: გორის მერის, ვლადიმერ ხინჩეგაშვილის დანიშვნიდან რამდენიმე თვეში მან გორის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს უფროსი მოხსნა და მის ადგილზე კონკურსის გარეშე თავისი ახლო მეგობარი, გიორგი შათირიშვილი დანიშნა, რომელსაც საბავშვო ბაღების მართვის შესაბამისი გამოცდილება არ გააჩნდა. თავის მხრივ, გიორგი შათირიშვილმა დანიშვნიდან რამდენიმე თვეში მოხსნა ბაგა-ბაღი #1-ის დირექტორი და მის ადგილზე კონკურსის გარეშე საკუთარი სიდედრი დანიშნა (რომელმაც ნეპოტიზმის შესახებ ცნობების გავრცელების შემდეგ თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა). ყოფილი თანამშრომელი, მარინე სურამელი, ამჟამად სასამართლოში დავობს შათირიშვილთან, რომელმაც დემონტაჟი გაუკეთა კვების, ჰიგიენისა და სკოლამდელი აღზრდის განყოფილებას და ის სამსახურიდან გაათავისუფლა.

სახელმწიფოს საჩუქარი 1000 პოლიციელს: „პოლიციის ქალაქი“

პროფესიონალების წახალისება თუ წინასაარჩევნო გათვლა?

სტატიის დეტალები

მთავრობის განცხადებით, დაახლოებით 1000 პოლიციელი, მათი მუშაობის „წახალისების” მიზნით, ე.წ „პოლიციის ქალაქის“ დასახლებაში ბინებს ნაწილობრივ საჩუქრად მიიღებს. (პოლიციელებს 1 კვადრატული მეტრისთვის მხოლოდ 300 ლარის გადახდა მოუწევთ, დარჩენილ თანხას კი მთავრობა დაფარავს. შედარებისთვის, იმავე ლოკაციაზე ბინის საშუალო ფასი იმავე პერიოდში კვადრატულ მეტრზე, დაახლოებით, 3344 ლარი იყო). საქართველოს საცხოვრისის სტრატეგიის სრული არარსებობის, ასევე მოახლოებული წინასაარჩევნო პერიოდის გათვალისწინებით, „აი, ფაქტმა” ამ პროექტის სხვადასხვა ასპექტი გამოიკვლია.

საქართველოს სასამართლოების სახიფათო პრაქტიკა: პოლიციის წევრების ჩვენებების უტყუარ მტკიცებულებად გამოყენება

რა უნდა ვქნათ, რომ მოსამართლე მხოლოდ პოლიციელის ჩვენებას აღარ ენდოს?

სტატიის დეტალები

თებერვალ-მარტის აქციებმა, რომელიც ე.წ „რუსული კანონის“ წინააღმდეგ (პუტინის 2012 წლის კანონის ანალოგი, რომელმაც რუსეთში კრიტიკული ხმების სრული აღმოფხვრა გამოიწვია და რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არადემოკრატიულად ცნო) იყო მიმართული, საქართველოს სასამართლო სისტემური პრობლემა გამოავლინა: მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეები აცხადებენ, რომ პოლიციამ სასამართლოში არაერთხელ მოიტყუა და მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეებს, რომლებსაც ეს დარღვევები არ ჩაუდენიათ, ცრუ ბრალდებები წაუყენა – მოსამართლეებმა კი პოლიციის მხარე დაიჭირეს და პოლიციის ჩვენებები უტყუარ მტკიცებულებებად მიიჩნიეს.

2. 2023 წლის მთავარი პრიორიტეტები

2.1. ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება, საზღვრისპირა თანამშრომლობა

OCCRP-სა და „აი, ფაქტის" თანამშრომლობა: 270 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ბიზნეს-იმპერია აზერბაიჯანელი დიქტატორის წრის ბიზნესმენის საკუთრებაში

სტატიის დეტალები

გამოძიება ავლენს 270 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ბიზნეს-იმპერიას საქართველოში, რომელიც მისი წარმომადგენლის, ემინ უჩარის დახმარებით, სავარაუდოდ, თალიბოვს ეკუთვნის. მათი პორტფოლიო მოიცავს ქსელებს, რომელიც ცნობილია, როგორც Gamigaya აზერბაიჯანში და Maqro Group – საქართველოში. მათ შორისაა სამი სასტუმროც, რომლებიც ფრანგულ სტუმარ-მასპინძლობის გიგანტ Accor-თან პარტნიორობენ. თალიბოვი ნახჭევანს 1995 წლიდან მართავს, მას შემდეგ, რაც ქორწინების გზით ჰეიდარ ალიევს დაუნათესავდა. მისი მმართველობა მოიცავს დამოუკიდებელი მედიის ჩახშობას, წამებასა და დისიდენტების ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გაგზავნას. თალიბოვმა სიმდიდრე მმართველობის დროს მოიხვეჭა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" შეშფოთებულია, რომ აზერბაიჯანში კორუფციის გზით მიღებული ინვესტიციები საქართველოშიც კორუფციის რისკს ქმნის – განსაკუთრებით იმიტომ, რომ საქართველოში ძლიერი ანტიკორუფციული მექანიზმები არ არსებობს.

სასურსათო უსაფრთხოება: რუსეთზე მზარდი დამოკიდებულება ხორბლის მოწოდებაში

რუსული ხორბლის იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა (ერთ წელიწადში სამჯერ), რაც ადგილობრივ მწარმოებლებს აძევებს და ამ საკვანძო სტრატეგიული მარაგისთვის საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულებას აყალიბებს (რუსეთიდან შემოტანილი ხორბლის ტომარა, დაახლოებით, 10-12

ლარით უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში წარმოებული). ეს საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელოვან რისკებს ქმნის, მთავრობა კი რაიმე სახის საპასუხო მექანიზმს ვერ ავითარებს.

სტატიის დეტალები

საქართველოს პრორუსული, ძალადობრივი პოლიტიკური პარტიის საეჭვო დაფინანსება

ზალადობრივი და პრორუსული პოლიტიკური მოძრაობა „კონსერვატიული მოძრაობა“ ჩართულია ომისა და კონფლიქტის პროპაგანდაში, საკუთარი მომხრეების მიმართ ფიზიკური ძალადობისკენ მოწოდებასა და საქართველოში რუსეთის პოლიტიკის ღიად მხარდაჭერაში. მაშინ, როდესაც მისი გადამოწმებადი შემოსავალი ორი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 590 მილიონი ლარია, მას მხოლოდ 101 შემომწირველი ჰყავს: „აი, ფაქტის” მიერ ჩატარებული ჩაღრმავებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ შემომწირველთა უმრავლესობას საზოგადოებისთვის შემოსავლის წყაროს საჯარო განმარტება არ შეუძლია.

სტატიის დეტალები

2.3. ადგილობრივი საკითხები: გადაადგილება, უსაფრთხოება და ადგილობრივი თვითმმართველობა

ცხოვრება წყლის, გათბობისა და გზის გარეშე იმერეთის მაღალმთიან რეგიონში

სტატიის დეტალები



სტატიის დეტალები

2021-2022 წლებში ლიმიტირებული პასუხისმგებლობის კომპანიამ Inter Gas 1.4 მილიონი ლარი მიიღო, რათა იმერეთში, მაღალმთიანი ტყიბულის მუნიციპალიტეტის რვა სოფელში გაზის მილები გაეკეთებინა. თუმცა სოფლის 776 მცხოვრებთა უმრავლესობა კვლავაც ღიად რჩება გაზის (გათბობის), გზისა და წყლის გარეშე. სხვათაშორის, ჭყეპის მოსახლეობა აცხადებს, რომ მათ არ იციან, როდის მიიღევენ საბაზისო საცხოვრებელ პირობებზე წვდომას. მთავრობის სტრუქტურის მიხედვით, „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, რომელიც 100%-ით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაშია, პასუხისმგებელია იმაზე, რომ საქართველოს სოფლებმა გაზის მიწოდება მიიღონ (ამაში შედის გაზის მილების მართვა, მილების გაყვანა, ხარისხის გაუმჯობესება და ა.შ.). პროცედურის მიხედვით, გაყვანილ მილებს ან თავად კომპანია მართავს, ან ყიდის ისეთ კომპანიებზე, როგორიცაა „სოკარი“, თუმცა, მიუხედავად თითქმის ერთი წლისა და მილიონობით დახარჯულისა, ჯერ კიდევ გაუგებარია, რატომ არ მიეწოდება მოსახლეობას გაზი.

საგანგებო მდგომარეობა სიმონეთი-ნავენახევის გზაზე, რომელიც სამი სოფლის დამაკავშირებელია

იმერეთის რეგიონში თერჯოლის მუნიციპალიტეტის სამი სოფელი – ნახშირღელე, ნავენახევი და ქვედა სიმონეთი დაკავშირებულია გზით, რომელიც იმდენად საგანგებო მდგომარეობაშია, რომ იქ ავტომობილით გადაადგილებაც საშიშია. ადგილობრივები აცხადებენ, რომ საბაზისო სერვისებთან ხელმისაწვდომობა უჭირთ, მათ შორის, რთულია სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიღებაც.

სტატიის დეტალები

მოსწავლეები და მასწავლებლები იმერეთის მაღალმთიან რეგიონში სკოლაში მისასვლელად სიცოცხლეს რისკავენ

22 თებერვალს, სკოლისაკენ მიმავალ გზაზე მასწავლებელი გელა ლიპარტელიანი მეწყერმა იმსხვერპლა. ზამთარში 115 მოსწავლე და ათეულობით მასწავლებელი ყოველდღიურად რისკავს მისი ბედის გაზიარებას სკოლისკენ მიმავალ გზაზე თოვლის სქელ ფენაში. ისინი გაკვეთილების დაწყებამდე ტანსაცმლის გასაშრობად ცეცხლთან სხდებიან, არ აქვთ ინტერნეტი, ელექტროენერგია, გაზი ან სხვა საბაზისო პირობები.

სტატიის დეტალები

დისფუნქციური თვითმმართველობა თერჯოლის მუნიციპალიტეტში

სახელმწიფოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც ბიუჯეტის განაწილების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის პლატფორმას უნდა უზრუნველყოფდეს, სოფლის კრებების მეშვეობით, უკვე 13 წელია მოქმედებს. აღნიშნული

სტატიის დეტალები

პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 45 სოფელზე 690,000 ლარი გამოიყო. ადგილობრივების თხოვნით, „აი, ფაქტმა" 7 სოფლის კრება მოინახულა: ყველა ამ კრებაში პროცესი ზედაპირულად მიმდინარეობდა. ადგილობრივები აცხადებენ, რომ კრებებზე, ძირითადად, მმართველი პარტიის აქტივისტები არიან მიწვეული, პირადი ზარებით ან სოფლის რწმუნებულების მეშვეობით. იმისათვის, რომ მონაწილეობაში ჩართვის შესაძლებლობა ყველას ჰქონდეს, ინფორმაცია სისტემურად არ ვრცელდება. არც შემდგომი მონიტორინგი ხდება სათანადოდ: ჩატარებული 21 კრებიდან მხოლოდ 12-ის ანგარიშია ატვირთული. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს, ითვალისწინებს თუ არა მუნიციპალიტეტები კრებებზე დასწრებული მოქალაქეების მოთხოვნებს. მაგალითად, ერთ-ერთმა ადგილობრივმა განაცხადა, რომ შეხვედრების შესახებ არაფერი სმენია და მიაჩნია, რომ ამის მიზეზი მმართველი პარტიის მიმართ მისი კრიტიკული შეხედულებებია.

2.4. გარემო და კულტურული მემკვიდრეობა

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გეგმა უსაფრთხოებისა და გარემოს რისკების ფონზე, მმართველი პარტიის ერთ-ერთი შემომწირველის მიერ განხორციელდა

კომპანიის 27%-იანი მფლობელებმა 2016-2017 წლებში ჯამში 105,000 ლარის დონაცია გაიღეს „ქართული ოცნებისთვის"; ამავე კომპანიას მთავრობამ მწვანე შუქი აუნთო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ზვავების, წყლის მარაგის დაკარგვისა და საერთო უსაფრთხოების შესახებ შიშების მიუხედავად. იმის გამო, რომ კანონმდებლობა მცირე ზომის კაშხლებზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას არ ითხოვს, ასეთი შეფასება არ

სტატიის დეტალები

ჩატარებულა, მიუხედავად წინა ნეგატიური გამოცდილებისა და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თეა გოდოლაძის, გაფრთხილებისა, რომელიც აცხადებს, რომ კაშხლის მშენებლობამ შეიძლება „შეუქცევადი“ პრობლემები გამოიწვიოს სოფელში. მოსახლეობა შეშინებულია – ახსენდებათ სხვა ქალაქებში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შედეგად წყლის მიწოდების შეწყვეტა, ზვავები და გარემოსა და უსაფრთხოების სხვა პრობლემები. პროცესი უმეტესწილად არაგამჭვირვალეა: არასრული ინფორმაციის გავრცელებითა და შეხვედრებისას იმ ადამიანების გამოკლებით, რომლებიც კაშხლის წინააღმდეგი არიან, კომპანია ადგილობრივ მოსახლეობაში კონფლიქტს თესავს. ამავე მფლობელებს ხუთი სხვა მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა აქვთ დაგეგმილი თრუსოს ხეობაში.

სიახლეები გელათის რეაბილიტაციის გაუმჭვირვალე პროცესის შესახებ

უკვე სამი წელია, ფინანსური პოლიცია გელათის მიმართ ინტერესს იჩენს, მაგრამ მთავრობა დუმს. სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნეული დაზიანების შესახებ პროკურატურა არაფერს აცხადებს. 2020 წლის ოქტომბერში პროკურატურას გამოძიების დაწყება სთხოვეს. სავარაუდოდ, გამოძიება არ მიმდინარეობს, რადგან ამასთან დაკავშირებით განცხადებები არ კეთდება. ამასობაში, შუასაუკუნეების ფრესკები წვიმის შედეგად დაზიანდა.

მეექვსე საუკუნის UNESCO-ს მემკვიდრეობის ძეგლი დანგრევის პირას: კვლავ პირადი ინტერესები სახელმწიფო ტენდერებში?

მცხეთის ჯვრის მონასტერი – UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მეექვსე საუკუნის ძეგლი, როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო მემკვიდრეობის სპეციალისტების თქმით, „მნიშვნელოვან საფრთხეს“ განიცდის. 2021 წლის 18 ოქტომბრის წერილში UNESCO წერს: „მოცემული სიტუაციის სიმძიმიდან გამომდინარე, რეაბილიტაციის სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.“ ამავე წერილში UNESCO უერთდება

სტატიის დეტალები

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს და საქართველოს საპატრიარქოს და დადებითად აფასებს რეაბილიტაციის შემოთავაზებულ პროექტს, რომლის დაფინანსებაც აშშ-ის კულტურული მემკვიდრეობის ფონდმა უზრუნველყო. თუმცა, იმ პერიოდში, როცა UNESCO-სგან დადებით დასკვნას ელოდნენ, კულტურის ახალ მინისტრად თეა წულუკიანი დაინიშნა, რომლის ხელშიც სამინისტრომ სააგენტოს ფინანსური გადაწყვეტილებების სრულად გაკონტროლების მოთხოვნა და მისი ძირითადი თანამშრომლების ჩანაცვლება საკუთარი კადრებით დაიწყო. ამ მიზეზით პროექტი წელიწადნახევრის განმავლობაში ჭიანურდება. ამასობაში, საჯარო ტენდერების სისტემის გვერდის ავლით, სამინისტრომ ტერიტორიის მდგომარეობის გადაფასებისა და ახალი პროექტის მომზადებისთვის პირდაპირი წესით შ.პ.ს. „კონექსი“ დაიქირავა მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე მუშაობის გამოცდილება არ აქვს.

მე-11 საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი: ბაგრატი დაზიანებულია წყლის გაჟონვის გამო

სტატიის დეტალები

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული ძეგლი – 1003 წელს აშენებული ბაგრატის ტაძარი, უკვე ხუთ წელზე მეტია, წყლის გაჟონვის შედეგად დაზიანებულია. და მაინც, გელათის მემკვიდრეობის მსგავსად, მთავრობამ პრობლემის მოგვარებისთვის ძალიან მცირე ზომები მიიღო, მაშინ როცა ძეგლის მდგომარეობა უარესდება.

3. ფინანსური ანგარიში

3.1. ეთიკური შემოსავლის და ხარჯვის პოლიტიკა

„აი, ფაქტის" ძირითადი ორგანიზაციული მიზანია საქართველოში არა მხოლოდ კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დაცვისათვის მუშაობა, არამედ ამ ფუნდამენტური პრინციპების გატარება თავის საქმიანობაშიც – როგორც გრანტების მართვაში, ასევე ხარჯების ეთიკურ წყაროებში. 2023 წელს „აი, ფაქტმა" განაგრძო ერთგულება საერთაშორისო პრინციპებისა და ანგარიშვალდებულების საუკეთესო პრაქტიკის მიმართ, რაც ასახულია მისი ფინანსური მართვის სახელმძღვანელოში. ეს დოკუმენტი მოიცავს სხვადასხვა დებულებას, მათ შორის, „ოთხი თვალის პრინციპის" დაცვის, ყველა ხარჯის თვალყურის დევნებისა და სათანადო დოკუმენტაციის უზრუნველყოფის, ხარჯების სრულად ასახვის, ასევე, პროვაიდერების ეთიკური წყაროების უზრუნველსაყოფად.

მათ შორის, „აი, ფაქტი" ცდილობს, რომ შესყიდვებისას ისეთი პროვაიდერები შეარჩიოს, რომლებიც კონკურენტული უპირატესობით სარგებლობენ და რომლებიც დადებით ძალისხმევას დებენ სამუშაო გარემოს თანასწორობისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამავე დროს, „აი, ფაქტის" ერთ-ერთი ძირითადი წესია, რომ არასდროს მიიღოს დაფინანსება პოლიტიკური პარტიებისა თუ მთავრობისგან, ასევე ისეთი კერძო ბიზნესისგან, რომელმაც, შესაძლოა, „აი, ფაქტის" მიუკერძოებელი კვლევითი პროცესის მიმართ ინტერესთა კონფლიქტი წარმოშვას.

ამავდროულად, „აი, ფაქტს" აქვს დასაქმებისა და სარგოს სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების, დაწინაურების, გასამრჯელოს მიღების, დისციპლინარული ზომებისა და კონტრაქტის შეწყვეტის სამართლიან და გამჭვირვალე პროცესს. ასევე, რიგი სხვა რეგულაციები, რომლებიც ორგანიზაციული მართვის კეთილსინდისიერებას უწყობს ხელს.

3.2. შეჯამება

„აი, ფაქტის" საერთო შემოსავალმა 2023 წელს **294,502 აშშ დოლარი** შეადგინა. გრანტები მოწოდებული იყო საერთაშორისოდ აღიარებული, ეთიკური დონორებისგან, ოფიციალური განვითარების დახმარების (ODA) პრინციპებისა და ფორმატების ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში „აი, ფაქტში" დასაქმებული იყო 11 მუდმივი თანამშრომელი (მათგან 3 ადმინისტრაციული წესით) და 28 საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებელი.

„აი, ფაქტის" საერთო ხარჯებმა 2023 წლის **233,014 აშშ დოლარი** შეადგინა. მათგან 34% ხელფასებზე დაიხარჯა, 27% – ხელშეკრულების მომსახურებაზე, 19% – გადასახადებზე, 14% – სხვადასხვა წარმოების/ პირდაპირ ხარჯებზე და 5% – შიდა გრანტების გაცემაზე.

3.3. შემოსავლები

2023 წლის მთლიანი შემოსავალი: 294,502.65 აშშ დოლარი.

შემოსავლების განაწილება წყაროების მიხედვით:

	დონორები/შემოსავლის წყარო	სახეობა		აშშ დოლ.
1	დემოკრატიის ეროვნული ფონდი - NED	გრანტი	-	75,820.00
2	ფონდი ღია საზოგადოება საქართველო	გრანტი	-	20,620.00
3	აშშ საელჩო	გრანტი	-	16,650.00
4	მედიის საერთაშორისო მხარდაჭერა (IMS)	გრანტი	-	40,282.86
5	პუბლიკა	გრანტი	-	3,324.77
6	ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტი - OCCRP	გრანტი	-	19,983.64
7	გლობალური საგამოძიებო ჟურნალისტიკის ქსელი - (GIJN)	გრანტი	-	8,322.18
8	საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო - (IREX)	გრანტი	-	9,850.90
9	პრალის სამოქალაქო საზოგადოება	გრანტი	-	1,042.99
10	ევროპული ფონდი დემოკრატიისთვის	გრანტი	-	28,580.63
11	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI)	გრანტი	-	4,802.77
12	ჟურნალისტიკის განვითარების ქსელი	გრანტი	-	9,984.01
13	ჟურნალისტიკის ფონდი	გრანტი	-	5,259.36
14	მედიის საერთაშორისო მხარდაჭერა (IMS)	გრანტი	-	16,374.13
15	მომსახურების კონტრაქტები	მომსახურება	-	33,604.40

3.4. ხარჯები

სულ დანახარჯები 2023 წელს: 233,014.13 აშშ დოლარი,

საიდანაც:





ჩვენი საკონტაქტო

info@ifact.ge

www.ifact.ge